რომელსაც აირჩევენ და "შეიძენენ" მოსარჩე-ლეები პოტენციურად ხელმისაწვდომი სამა-რთლებრივი სისტემებისაგან. ამ გარემოში, საგრძნობლად გაფართოვდა კონფლიქტის ფარგლები სხვადასხვა ქვეყნის სასამართლოთა შორის.²

სამყაროში, სადაც ადამიანთა საქმიანობის ყველა ასპექტი სულ უფრო მეტად ატარებს საერთაშორისო ხასიათს, სამართალწარმოების შესაძლებლობებმა გლობალიზაცია გამოიწვია. ამ ფენომენმა, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან სამართალწარმოება ზედმეტად ინტერნაციონალიზებული გახადა და მოსარჩელეებმა საკუთარი "ბუნებრივი" იურისდიქციის მიღმა დაიწყეს იმ სასამართლოთა ძებნა, სადაც პროცესუალურ ან მატერიალურ უპირატესობებს მიიღებდნენ. ამის გაკეთებას ცდილობდნენ იმ გზით, რომელიც სულ მცირე არაკეთილსინდისიერი, უარეს შემთხვევაში კი სასტიკი იყო. ამ მდგომარეობას აღწერს ტერმინი Forum Shopping (ზოგჯერ გამოიყენება "სამართალ-შოპინგი").3

Bassett, D. L., (2006). THE FORUM GAME, North Carolina 3 Law Review, 1.

International Law Association London Conference, (2000). Committee on International Civil and Commercial Litigation, Third Interm Report: Declining & Refering Jurisdiction in International Litigation, 1.

Guthri, N., (1995). "A Good Place to Shop": Choice of Forum and the Conflict of Laws, Ottawa Law Review, 203.

პოზიტიური კომპეტენტური კონფლიქტის ყველაზე ცნობილი სახეა Forum Shopping-ი.⁴ საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართალში ტერმინი გულისხმობს მოსარჩელის მიერ სარჩელის აღძვრისას იმ სასურველი სასამართლოს არჩევის უფლებას, რომელშიც დავის განხილვა მისთვის ყველაზე მეტად ხელსაყრელია შესაბამისი ფაქტობრივი, საპროცესო, კოლიზიური და მატერიალურ-სამართლებრივი შედეგების გათვალისწინებით. ეს მოსარჩელის ლეგიტიმური უფლებაა, რომ სარჩელი იქ შეიტანოს, სადაც მას სურს, თავისი საპროცესო სტრატეგიიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, თუ შესაბამისი ქვეყნების საერთაშორისო საპროცესო სამართალი ასეთი არჩევანის საშუალებას იძლევა.5

ეროვნულია Forum shopping-ი, როცა მოსარჩელე ირჩევს ორ ან მეტ სასამართლოთა შორის ერთი ქვეყნის სამართლებრივი სისტემის ფარგლებში, ხოლო ტრანსნაციონალური (გლობალური) Forum shopping-ის დროს არჩევანი კეთდება ორი ან მეტი ქვეყნის სასამართლოთა შორის. გლობალურმა Forum shopping-მა შესაძლოა გამოიწვიოს გადაწყვეტილებათა დისჰარმონიულობა. გადაწყვეტილებების ჰარმონიულობის მიზნით მსგავსი საქმეები ერთნაირად უნდა გადაწყდეს, მიუხედავად იმისა, რომელი სახელმწიფოს სასამართლო განიხილავს. მართალია, ქვეყნები არეგულირებენ დავებს თავიანთ ტერიტორიულ საზღვრებში, თუმცა ადამიანები, ქმედებე-

აოეგულიოებებ დავებს თავიაბთ ტეოიტოოიულ საზღვრებში, თუმცა ადამიანები, ქმედებე
4 Forum shopping არის პრინციპი, რომლის მეშვეობით მხარეს შეუძლია აირჩიოს მისთვის ხელსაყრელი სასამართლო საქმის განსახილველად. ის საშუალებას იძლევა დროც კი შეირჩეს, თუ როდის მიმართონ სასამართლოს გადაწყვეტილების მისაღებად, რასაც ე.წ. "ტორპედო" ტექნიკას უწოდებენ. "ტორპედო" ქმედება კეთილსინდისიერ მხარეს შესაძლებლობას აძლევს ეცადოს და მიაღწიოს დავის დროულად გადაწყვეტას. აღნიშნული პრინციპი ნეგატიური ან საეჭვო ფენომენი ნამდვილად არ არის, ალბათ ოდნავ შეურაცხმყოფელია იმ შემთხვევებში, როცა მხარე სასამართლოს ირჩევს მხოლოდ მისი "თვისებების" გამო, რაც კანონის უზენაესობას არ ემსახურება.
Calster, G.V., (2016). European Private International Law,

5 სვანაძე, გ., (2016). საერთაშორისო ბიზნეს-ხელშეკრულებების მოლაპარაკება და დადება საერთაშორისო ნასყიდობის სამართლის ფონზე, პრეზენტაცია ბიზნეს სამართლის ეროვნულ კონფერენციაზე, თბილისი, 50.

Second Edition, Hart Publishing, 8.

ბი და თანმდევი შედეგები მუდმივად კვეთენ მას.⁷

Forum shopping-ის არსებობა დამოკიდებულია ორ პირობაზე: პირველი, მოსარჩელისათვის პოტენციურად ხელმისაწვდომი ერთზე მეტი სასამართლოა. მეორე, დასაშვებად
ხელმისაწვდომი სამართლებრივი სისტემები
უნდა იყოს ჰეტეროგენული. თუ სამართლის
სისტემები ერთმანეთის მსგავსია, ცხადია,
მხარეს მცირე მიზეზი ექნება რომელიმეს
ამოსარჩევად. სამართლებრივ სისტემათა ჰეტეროგენულობა ნიშნავს, რომ მოსარჩელეს
შესაძლოა მეტი შანსი ჰქონდეს დავის მოსაგებად ერთ სასამართლოში, ვიდრე დანარჩენში.
რაც იძლევა Forum shopping-ის გამოყენებისათვის სტიმულს. 8

FORUM SHOPPING-ᲘᲡ ᲓᲔᲤᲘᲜᲘᲪᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

Forum shopping არის სტრატეგიული ქცევა, რომელიც ეფუძნება მხარის მიერ უპირატესობის დანახვას კონკრეტული სამართლის
სისტემის მატერიალურ, პროცესუალურ კანონმდებლობასა და სასამართლოს მიღებულ
გადაწყვეტილებებში. ყოველივე ამის შემდეგ,
მოსარჩელე განსაზღვრავს შეძლებს თუ არა
მისთვის სასურველი სამართლებრივი სისტემისაგან სარგებლის მიღებას.9

ინგლისის სააპელაციო სასამართლომ ცნობილ საქმეში დაადგინა, რომ ნიდერლანდელ მოსარჩელეებს, რომელთა ბარჟა დაზი-

Whytock, C. A., (March 2011). The Evolving Forum Shopping System, Cornell Law Review, 485.

⁷ დისჰარმონიის შესაძლებლობის მიუხედავად, აშშ-ს სამართლებრივი სისტემა საშუალებას აძლევს მოსარჩელეებს, დაზარალებულ მხარეებს აირჩიონ სხვადასხვა სასამართლოთა შორის მათთვის სასურველი. 2014 წლის საქმეში Espinoza v. Evergreen Helicopters, Inc. სასამართლომ განაცხადა: "მოსარჩელეებს საუკეთესო პირობები აქვთ ხელსაყრელი, შესაბამისი სასამართლოს ასარჩევად, მათი პრეტენზიების განსახილველად." 2010 წლის საქმეში Shady Grove Orthopedic Assocs. v. Allstate Ins.Co. სასამართლომ აღნიშნა: "Forum shopping არის ფედერალური სამართალწარმოების ერთიანი სისტემის გარდაუვალი (დანამდვილებით შეიძლება ითქვას, განზრახი) შედეგი". Bookman, P. K., (2016). The Unsung Virtues of Global Forum Shopping, Notre Dame Law Review, Vol 92, Issue 2, 598, 601.

Whytock, C. A., (March 2011). The Evolving Forum Shopping System, Cornell Law Review, 486.

⁹ იქვე. 488,489.

ანდა მდინარე შელდტში ბელგიელ მოპასუხეთა მიერ, შეეძლოთ სარჩელის აღძვრა ნივთის ადგილმდებარეობის მიხედვით იმ წინააღმდეგ, რომელიც ლივერპულში უნდა შესულიყო და მოპასუხეთა საკუთრებას წარმოადგენდა. საქმის განხილვისას ლორდმა დენინგმა აღნიშნა: "თუკი ხომეღიმე მოსახჩე-<u>ღე</u> მიიჩნევს, hmმ მისთვის ინგღისში საhჩეღის აღძვია მომგებიანია აქაუი პიოცესუაღუი ან მაგეჩიაღუჩი ნოჩმების გამო, ჩა თქმა უნჹა, მას აქვს საჩჩედის აღძვჩის უფდება. აქ საჩჩედის აღძვხის უფღება ყვეღა მეგობხუღ უცხოეღს ეხება. მათ შეუძღიათ ჩვენი სასამახთღოების მიმახთ ახსებუღი წყუხვიღი ჹაიკმაყოფიღონ. თქვენ შეიძღება ყოვეღივე ამას Forum shopping-ი უწო-<u>ღოთ თუ ასე გსუხთ, მაგხამ თუ ფოხუმი ინგ</u>ღისშია, მაშინ ეს კახგი აჹგიჹია საშოპინგოჹ, ხოგოჩც საქონღის ხაჩისხის, ასევე მომსახუჩების სისწჩაფის თვაჹსაზჩისით".10

Forum Shopping-ის ზუსტი განმარტება არაერთგვაროვანია. გავრცელებული შეხედულებით, ტერმინი გულისხმობს "ყვეღაზე ხეღსაყhედი იუhისღიქციის ან სასამაhთდოს აhჩევის
პhაქგიკას, hომეღშიც შესაძღებედია საhჩეღის
აღძვhა".¹¹ ამ განმარტებით, ის მოიცავს სარჩელის შეტანის შესახებ მოსარჩელის არჩევანს
(თუ არსებობს ერთზე მეტი ვარიანტი), მხარეთა
მიერ კონკრეტული სასამართლო პროცედურების შერჩევას ხელშეკრულებით და მოპასუხის
მცდელობას ხელი შეუშალოს Forum Shopping-ს
უარყოფის ან Forum non conveniens გზით.¹²

სამართლებრივი სისტემა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება Forum Shopping-ი, გავლენას ახდენს მის განმარტებაზე, რაც ართულებს ერთგვაროვან დეფინიციას. 2002 წლის 26 ნოემბრის რიმინის სასამართლოს მიღებულმა გადაწყვეტილებამ დიდი ყურადღება მიიპყრო, როცა იტალიურმა სასამართლომ პირველად განმარტა Forum shopping-ი. სასამართლომ ის აღწერა, როგორც "საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს მოსარჩელის ინტერესებისთვის

10 Atlantic Star 1973, Guthri, N., (1995). "A Good Place to Shop":Choice of Forum and the Conflict of Laws, Ottawa Law Review, 209.

ყველაზე ხელსაყრელი იურისდიქციის შერჩევას".¹³ აღნიშნული განმარტება არა მხოლოდ იტალიური გაგებაა, არამედ გამოიყენება კონტინენტური ევროპის სხვა ქვეყნებშიც და განსაზღვრავს, რომ მხოლოდ მოსარჩელეს შეუძლია Forum shopping-ით სარგებლობა. განხილვის შემდეგ, მოპასუხე უფლებამოსილია გააპროტესტოს სასამართლოს კომპეტენცია და ამტკიცოს, რომ არ არსებობდა საფუძველი შერჩეული იურისდიქციისათვის.14 აშშ-ის ზოგიერთი სასამართლოს მიერ შემოთავაზებული დეფინიციით, Forum shopping-ი ნიშნავს "უპირატესობის მოპოვების მიზნით, ხელსაყრელი მატერიალური კანონის საფუძველზე სასამართლოს არჩევას ან არასასურველი კანონის თავიდან ასაცილებლად ალტერნატიული სასამართლოს შერჩევას".¹5

საქმეში Piper Aircraft Co. v. Reyno¹6 წამოიჭტრანსნაციონალური Forum shopping-ის გამოყენებისა და დეფინიციის პრობლემა. პენსილვანიაში წარმოებული თვითმფრინავი ოჰაიოში დამზადებული პროპელერებით, შოტლანდიაში ჩამოვარდა. დაღუპულ მგზავრთა შოტლანდიელი ნათესავების დაქირავებულმა კალიფორნიელმა ადვოკატმა სასამართლოსაგან მოითხოვა გარდაცვლილთა ქონების მმართველად მისი თანაშემწის, გეინელ რეინოს დანიშვნა. კალიფორნიის რეზიდენტმა რეინომ დაღუპულთა სახელით სარჩელი აღძრა ამავე შტატის სასამართლოში მწარმოებლების წინააღმდეგ, იმის მტკიცებით, რომ თვითმფრინავის ან პროპელერების მექანიკურმა პრობლემამ გამოიწვია კატასტროფა. მოსარჩელეთა გადაწყვეტილებით საქმისწარმოება დაიწყო არა შოტლანდიაში, არამედ ამერიკაში (ტრანსნაციონალური forum shopping), კერძოდ კალიფორნიაში, და არა მოპასუხეთა შტატებში

Juenger, F. K., (1989). Forum Shopping, Domestic and International, 63 TUL. Law Review, 553, 554.

¹² Ferrari, F., (August 2014). Forum Shopping: A Plea for a Broad and Value-Neutral Definition, New York University School of Law, Public Law & Legal Theory, Research Paper Series, Working Paper, NO. 14-39, 21-23. https://ssrn.com/abstract=2474181

¹³ Tribunale di Rimimi, 26 November 2002, Ferrari, F., (August 2014). Forum Shopping: A Plea for a Broad and Value-Neutral Definition, New York University School of Law, Public Law & Legal Theory, Research Paper Series, 15.

¹⁴ Tribunale di Rimimi, 26 November 2002, Ferrari, F., (August 2014). Forum Shopping: A Plea for a Broad and Value-Neutral Definition, New York University School of Law, Public Law & Legal Theory, Research Paper Series, 15,16.

Tribunale di Rimimi, 26 November 2002, Ferrari, F., (August 2014). Forum Shopping: A Plea for a Broad and Value-Neutral Definition, New York University School of Law, Public Law & Legal Theory, Research Paper Series, 15,16.

Bookman, P. K., (2016). The Unsung Virtues of Global Forum Shopping, Notre Dame Law Review, Vol 92, Issue 2, 591.

– ოჰაიოსა ან პენსილვანიაში (ეროვნული forum shopping). მოპასუხეებმა საქმისწარმოების გაგრძელება კალიფორნიიდან პენსილვანიის შტატში მოითხოვეს. შემდეგ, მათი წარმომადგენლები forum non conveniens დაყრდნობით ამტკიცებდნენ, რომ საქმეს უფრო მჭიდრო კავშირები ჰქონდა შოტლანდიასთან და იქ უნდა განხილულიყო. აღნიშნული შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, თუმცა მოსარჩელეებმა შოტლანდიაში არ შეიტანეს სარჩელი. მხარეთა მიერ განხორციელებული ყოველი ნაბიჯით ნათლად ჩანს, რომ მოსარჩელე და მოპასუხე ეძებდა მათთვის ხელსაყრელ სასამართლოს. დასადგენია თითოეულის მიერ გაკეთებული არჩევანი კვალიფიცირდება, როგორც forum shopping-ი? ფართო განმარტებით, ყველა მათგანი forum shopping-ია. ვიწრო დეფინიციით, მოსარჩელეთა მიერ სარჩელის აღძვრა აშშ-ს სასამართლოში, არ იქნება ფორუმ შოპინგი. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქმისწარმოება პენსილვანიაში გადავიდა, რადგან საერთაშორისო კერძო სამართალი, როგორც წესი, ლეგიტიმურად მიიჩნევს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოპასუხის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრას. ეს უკანასკნელი არჩევანი – სტრატეგიულად მოტივირებული – განიხილება, როგორც მოსარჩელის შეხედულებით მიღებული გადაწყვეტილება. მოპასუხეთა მიერ საქმის ერთი შტატიდან მეორეში, ან ქვეყნის გარეთ გადატანის მცდელობები ფასდება, როგორც გააზრებული საპროცესო ტაქტიკის გონივრული არჩევანი – თუნდაც საქმის განხილვის თავიდან აცილების მიზნით. შოტლანდიაში მომხდარი ავიაკატასტროფის გამო მოსარჩელეთა მიერ კალიფორნიაში სარჩელის აღძვრა ოჰაიოსა და პენსილვანიის კორპორაციების წინააღმდეგ, შესაძლოა იურისდიქციის "გადაქარბებად" იქნას მიჩნეული მხარეებს, კალიფორნიის სასამართლოსა და თვითმფრინავის ჩამოვარდნას შორის მნიშვნელოვანი კავშირების არარსებობის მოტივით. მეორე მხრივ, იმ დროისათვის სასამართლოს შესაძლოა, კანონის შესაბამისად, ჰქონოდა მოპასუხეთა მიმართ პირადი იურისდიქცია, კალიფორნიასთან მათი საქმიანი კონტაქტების გამო.¹⁷

ზოგიერთი სასამართლო და მეცნიერი ტერმინ Forum shopping-ს იყენებს "არალეგიტი-

Bookman, P. K., (2016). The Unsung Virtues of Global Forum Shopping, Notre Dame Law Review, Vol 92, Issue 2, 595.

მურად მოტივირებული ქცევის მქონე ვიწრო ქვეჯგუფის აღსანიშნავად, რაც გულისხმობს იმ სასამართლოს გამოყენების მცდელობას, რომელსაც მცირე კავშირი აქვს დავასთან". ერთ-ერთ საქმეში, მოსამართლემ აღნიშნა: "თუ მხარე ეძებს სასამართლოს მხოლოდ სამართლებრივი უპირატესობის მოსაპოვებლად და არა საქმის იურისდიქციასთან რეალური და არსებითი კავშირის გამო, ეს Forum shopping-ი ჩვეულებრივ დასაგმობია. მეორე მხრივ, მხარეს, რომლის საქმესაც რეალური და არსებითი კავშირი აქვს სასამართლოსთან, გააჩნია ლეგიტიმური პრეტენზია იმ უპირატესობებზე, რასაც ეს სასამართლო იძლევა".18

როგორი პოზიციაც არ უნდა არსებობდეს Forum shopping-ის მიმართ, ის არის ჩვეულებრივი მოვლენა. როგორც ლორდთა პალატამ აღნიშნა: "თუ მოსაჩჩედეს შესთავაზებთ იუჩის-<u> ღიქციის აჩჩევანს, ბუნებჩივა</u>დ აიჩჩევს ისეთს, საღაც საჩჩეღის წახღგენა ყვეღაზე ხეღსაყხეღი იქნება მისთვის. ეს ახც გასაკვიხია ღა ახც აღმაშფოთებეçი". მახთღაც, "ყვეღა აჹვოკატი საქმის აღძვჩამჹე ფიქჩობს საუკეთესო სასამახთღოზე", "ეს ახის მოსახჩედე მხახის გაქგიკუხი სამუშაოს ეფექგუხი სგხაგეგიის ნაწიდი, hომ გამოიკვ<u>ღ</u>იოს სახჩეღის შე<u>გ</u>ანის მიზანშეწონიღობა სასუხვედ სასამახთღოში". ფაქტობრივად, "იუჩისტები ეთიკუჩაჹ იძუღებუღნი ახიან კღიენტთა ინტეხესებისთვის უფხო ხეღსაყჩედი სასამაჩთდო მოიძიონ".¹⁹

FORUM SHOPPING-ᲘᲡ ᲜᲐᲙᲚᲝᲕᲐᲜᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲣᲙᲘᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲔᲑᲘ

Forum Shopping-ის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება არსებობს, განსაკუთრებით ტრანსნაციონალური სამართალწარმოების კონტექსტში. ტერმინი ასოცირდება უპრინციპო, უღირს ტაქტიკასა და დაუმსახურებელ გამარჯვებებთან. Forum shopping-ისადმი არსებული კრიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ

Amchem Prods. Inc. v. B.C. (Workers' Compensation Bd.) 1993 Bookman, P. K., (2016). The Unsung Virtues of Global Forum Shopping, Notre Dame Law Review, Vol 92, Issue 2, 589.

¹⁹ Ferrari, F., (August 2014). Forum Shopping: A Plea for a Broad and Value-Neutral Definition, New York University School of Law, Public Law & Legal Theory, Research Paper Series, Working Paper, 14.

ხელს უწყობს უსარგებლო და არაეფექტურ სამართალწარმოებას, უხერხულობას უქმნის სასამართლოებს _ აკარგვინებს დროს და მოითხოვს გაორმაგებულ ძალისხმევას, აიძულებს მხარეებს დახარჯონ რესურსები ყველაზე სტრატეგიული სასამართლოს დასადგენად. ამ ყოველივემ, შესაძლოა გამოიწვიოს ძვირადირებული, შრომატევადი და გაჭიანურებული სასამართლო განხილვები.²⁰

არსებობს მოსაზრება, რომ Forum shopping-ი ეწინააღმდეგება სამართლებრივი სისტემის ფუნდამენტურ – შედეგების თანმიმდევრულობის პრინციპს, ე.წ. "გადაწყვეტილებათა ჰარმონიულობას". მისი გამოყენება გადატვირთავს სასამართლოებს, იწვევს არასაჭირო, არაეფექტურ ხარჯებს და შეუსაბამობაშია "თანაბარი სათამაშო მოედნის" პრინცი-პთან.²¹

ლორდთა პალატის განზოგადებული დამოკიდებულება Forum shopping-ისადმი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: Forum shopping-ი უსამართლოა მოპასუხეთა მიმართ, რომლებიც შეიძლება დაზარალდნენ დაუსაბუთებელი ხარჯებითა და შექმნილი დისკომფორტით "ბუნებრივი" სასამართლოს ნაცვლად, სხვაგან შეტანილი სარჩელის განხილვისას; ის წარმოშობს მიკერძოებულობას მოსარჩელეთა სასარგებლოდ, რომლებიც ირჩევენ კეთილგანწყობილ სასამართლოებს; განაპირობებს სასამართლო რესურსების არაეფექტურ გამოყენებას, რადგან შერჩეული სასამართლოები "უცხოური" სარჩელებით იტვირთება; ეჭვებს ბადებს მართლმსაჯულების სისტემის სამართლიანობასთან დაკავშირებით, რაკი სასამართლო დავის განმსაზღვრელი ფაქტორი ოპორტუნიზმია და არა სამართლიანობა; იწვევს სასამართლო განხილვის შედეგის ბუნდოვანებას; მმართველობის ფედერალურ სისტემაში ან საერთაშორისო კონტექსტში ქმნის დაძაბულობას იურისდიქციათა შორის, ძირს უთხრის ერთი სახელმწიფოს სამართლებრივი წესრიგის არჩევანს, როცა მეორეს ანიჭებს უპირატესობას.22

Forum shopping-ის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება მხოლოდ ეროვნული სამართლის სისტემებისთვის არ არის დამახასიათებელი. ის შეიძლება გამოიკვეთოს ევროპულ
დონეზე. ამ რეგიონში, საერთაშორისო კერძო
სამართლის უნიფიცირებისაკენ მიმართული
ძალისხმევის ერთ-ერთი გამართლება Forum
shopping-ის თავიდან აცილება იყო. საერთაშორისო დონეზე, აღსანიშნავია გაეროს 1980
წლის საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის
შესახებ კონვენციის შემუშავების ერთ-ერთი
მთავარი მიზანი, რაც UNCITRAL-ის სამდივნოს
თანახმად მდგომარეობს შემდეგში: "შემციhღეს ყვეღაზე ხეღსაყხედი კანონის მქონე სასამახთღოთა ძებნა".23

ტრანსნაციონალური Forum shopping-ის ცნობილი, გახმაურებული საქმეა ავსტრიელი სამართლის სტუდენტის შრემსის სარჩელი Facebook-ის წინააღმდეგ.²⁴ ირლანდიური კონფიდენციალურობის მარეგულირებელ ორგანოში (ირლანდიის მონაცემთა დაცვის კომისარი "DPC") მაქს შრემსმა 2013 წელს შეიტანა სარჩელი Facebook Ireland Limited-ის წინააღმდეგ, რომელიც ხელშეკრულებებს აფორმებს ფეისბუქის ყველა მომხმარებელთან შეერთებული შტატებისა და კანადის ფარგლებს გარეთ. იგი ამტკიცებდა, რომ ფეისბუქმა, აშშ-ს მთავრობის PRISM-ის სადაზვერვო მეთვალყურეობის პროგრამაში მონაწილეობით, დაარღვია კონფიდენციალურობის შესახებ ევროპული კანონები. ირლანდიური მხარის პასუხის გაჭიანურებით უკმაყოფილო შრემსმა (იგი არ აღაფრთოვანა იდეამ, რომ 25 წლის განმავლობაში ებრძოლა ირლანდიის მარეგულირებელისა და ირლანდიური სასამართლო სისტემის "სიგიჟის" წინააღმდეგ) სარჩელი გამოიხმო და ხელახლა შეიტანა ავსტრიის სასამართლოში. მან გაავრცელა ონლაინ რეკლამა, მოუწოდა მსოფლიოში ფეისბუქის მომხმარებლებს მისთვის დაეთმოთ თავიანთი პრეტენზიები. მოსარჩელე, დანარჩენ შვიდ პირთან ერთად ამტკიცებდა, რომ Facebook-ის მომსა-

Bookman, P. K., (2016).The Unsung Virtues of Global Forum Shopping, Notre Dame Law Review, Vol 92, Issue 2, 603.

²¹ Ferrari, F., (August 2014). Forum Shopping: A Plea for a Broad and Value-Neutral Definition, New York University School of Law, Public Law & Legal Theory, Research Paper Series, 8,9.

²² Guthri, N., (1995). "A Good Place to Shop": Choice of Fo-

rum and the Conflict of Laws, Ottawa Law Review, 208.

²³ International Law Association London Conference, (2000). Committee on International Civil and Commercial Litigation, Third Interm Report: Declining & Refering Jurisdiction in International Litigation, 6.

²⁴ Bookman, P. K., (2016).The Unsung Virtues of Global Forum Shopping, Notre Dame Law Review, Vol 92, Issue 2, 584,585.

ხურების პირობები და მონაცემთა შეგროვების პოლიტიკა არღვევდა ევროკავშირის კანონმდებლობასა და მომხმარებელთა უფლებებს. ფეისბუქის 25000-მა მომხმარებელმა გადასცა თავისი სამართლებრივი პრეტენზიები შრემსს, 10 მილიონი ევროს კომპენსაციის მოთხოვნით. ავსტრიულ სასამართლოში სარჩელის განხილვის პროცედურის დაწყებით, ევროპაში შეიქმნა ყველაზე დიდი კოლექტიური სარჩელის პრეცედენტი. შედეგად, ავსტრიის სასამართლოები ტრანსნაციონალური სამართალწარმოების რთული პროცედურული საკითხების, სარჩელთა გაერთიანების, ექსტრატერიტორიული იურისდიქციის გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა.

ვენის საქალაქო სასამართლომ რისდიქციის არარსებობის გამო კოლექტიური სარჩელი არ განიხილა. გადაწყვეტილებაში ფოკუსირდა საქმის იურისდიქციულ მხარეზე, იმის გათვალისწინებით, იზიარებდა თუ არა შრემსის შეხედულებას, როგორც ფეისბუქის ავსტრიელ მომხმარებელს ავსტრიის მომხმარებელთა უფლებების კანონმდებლობა საშუალებას აძლევდა მიეღო სამართლებრივი ზომები საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მოსამართლე არ დაეთანხმა ამ პოზიციას და განაცხადა, რომ მოსარჩელე იყენებდა სოციალური მედიის სერვისს როგორც კერძო, ისე პროფესიულ დონეზე და გააჩნდა კომერციული ინტერესი ფეისბუქის წინააღმდეგ. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ეს სარჩელი – გერმანელი და ინდოელი მოსარჩელეების მონაწილეობით, რომლებმაც ვენა აირჩიეს საქმის განხილვის ადგილად – იყო იურიდიულად პრობლემური და დაუშვებელი. Facebookის ადვოკატი ამტკიცებდა, რომ ბ-ნი შრემსი არ იყო მომხმარებელი იურიდიული გაგებით და ვენის სასამართლოს არ ჰქონდა იურისდიქცია – არც კალიფორნიის ფირმის და არც დუბლინში დაფუძნებული მისი შვილობილი საერთაშორისო კომპანიის წინააღმდეგ. შრემსის ადვოკატმა უარყო ბრალდება, რომ მისი კლიენტი ამ საქმეს კომერციული მიზნებისათვის აწარმოებდა და განაცხადა: "იგი ცხოვრობს ამ საქმისთვის და არა ამ საქმით". 25

მიერ დათმობილი პრეტენზიების ნაწილში, რადგან შესაძლებლად მიიჩნია პროცესში მხოლოდ იმ მომხმარებლის ჩართვა, რომელიც ეყრდნობა თავის სარჩელს. მხარემ გადაწყვეტილება გაასაჩივრა ვენის უზენაეს სასამართლოში, რომელმაც შემდგომ მიმართა კითხვებით ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად. 2015 წელს მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ (ECJ) დაიწყო განხილვა რამდენად იყო ფეისბუქი ჩართული აშშ-ს დაზვერვის მიერ მონაცემთა ფართომასშტაბიან შეგროვებაში. 2018 წლის გადაწყვეტილებაში, სასამართლომ ხაზი გაუსვა ევროკავშირის კანონმდებლობის ზოგად პრინციპს, რომლის თანახმად წევრ სახელმწიფოში მცხოვრებმა პირებმა სარჩელი უნდა აღძრან ამ სახელმწიფოს სასამართლოებში. ამ ზოგადი პრინციპიდან გამონაკლისი გათვალისწინებული იყო ამომწურავი ჩამონათვალითა და ზუსტი ინტერპრეტაციით. 44/2001 რეგულაციაში "მომხმარებლებისათვის" სპეციალური იურისდიქციის წესები გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც ხელშეკრულება მხარეთა შორის დადებულია შესაბამისი საქონლის ან მომსახურების გამოყენების მიზნით, რომელიც სავაჭრო ან პროფესიული სარგებლობისთვის არ არის განკუთვნილი. სასამართლოს განმარტებით, თუ ხელშეკრულება დაიდო მიზნით, რომელიც ნაწილობრივ ეხება პირის პროფესიულ საქმიანობას, 44/2001 რეგულაციის მე-15 და მე-16 მუხლები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კავშირი ხელშეკრულებასა და კომერციულ საქმიანობას შორის იმდენად მცირეა, რომ ზღვრული და, შესაბამისად, უმნიშვნელო როლი ჰქონდა ხელშეკრულების დადების კონტექსტში. სასამართლოს განმარტებით, ციფრული სოციალური ქსელის მომხმარებელს შეუძლია დაეყრდნოს სარჩელის აღძვრის იურისდიქციის სპეციალურ წესებს, მხოლოდ ისეთ გარემოებებში, როდესაც მათ შეუძლიათ ამტკიცონ, რომ სერვისების ძირითადად არაპროფესიული გამოყენება, შემდგომში არ გახდა უპირატესად პროფესიული. სასამართლომ აღნიშნა, რომ "მომხმარებლებთან" დაკავშირებული სპეციალური იურისდიქციული წესები "შთაგონებულია მომხმარებლის დასაცავად, რადგან ეს მხარე მიჩნეულია ეკონომიკურად სუსტ და ნაკლებად გამოცდილად იურიდიულ საკითხებში, ვიდრე მეორე მათგანი. ამდენად, განმცხადებელი, რომელიც თავად არ არის აღნიშნული სამომხმარებლო ხელშეკრულების მხარე, ვერ ისარგებლებს სამომხმარებლო კონტრაქტებთან დაკავშირებული იურისდიქციის უფლებით. იგივე მოსაზრებები უნდა გავრცელდეს იმ მოსარჩელეზე, რომელსაც სხვა მომხმარებელთა პრეტენზიები აქვს მინიჭებული". სასამართლო არ დაეთანხმა ბ-ნი შრემსის მიერ წამოყენებულ არგუმენტს და დაადგინა, რომ მომხმარებელთა უფლებების შესახებ სარჩელის აღძვრა სასამართლოში მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, არ იძლეოდა მისთვის გადაცემული სხვა განმცხადებლების პრეტენზიების წარდგენას იმ სასამართლოს იურისდიქციაში, სადაც ის ცხოვრობდა. სასამართლომ მიუთითა, რომ იურისდიქცია არ დადგინდა, ერთი განმცხადებლის ხელში რამდენიმე სარჩელის კონცენტრაციის პირობებში. Judgment

გადაწყვეტილება გასაჩივრდა უმაღლეს სასამართლოში. ვენის უმაღლესმა რეგიონალურმა სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი Facebook Ireland-სა და შრემს შორის არსებული ხელშეკრულების კუთხით, თუმცა უარყო სხვა მომხმარებელთა

მეცნიერები ზოგ შემთხვევაში მიესალმებიან მხარეთა მიერ დავის გადასაწყვეტად კონკრეტული სასამართლოს არჩევას. ზოგი მათგანი იმასაც ამტკიცებს, რომ Forum shopping-ის გამოყენება, სასამართლოს არჩევის შესახებ მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულებაში არსებული პუნქტი, აუცილებელია რათა სახელმწიფო მეტად შეეცადოს უკეთესი კანონების შემუშავებას. რაკი, მხარეთა არჩევანი ასახავს მათ ერთობლივ შეთანხმებას, ამ პუნქტების მეშვეობით, ინდივიდები და კომპანიები ეძებენ საუკეთესო მარეგულირებელ რეჟიმებს. სახელმწიფოები, თავის მხრივ, შეეცდებიან უზრუნველყონ ეს ლეგალური "პროდუქტები".26

FORUM SHOPPING-0 ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲐᲨᲘ

Forum Shopping-ი ამერიკული სასამართლო პრაქტიკის პირმშოა. გლობალიზაციის ეპოქაში, შეერთებული შტატები განიცდის ტრანსნაციონალური სამართალწარმოების სწრაფი ტემპით ზრდას. შტატების მატერიალური და საპროცესო კანონები, მეტად მომგებიანია მოსარჩელეთათვის, ვიდრე სხვა ქვეყნების. სამართლებრივი სისტემის ორი მახასიათებელი ხელს უწყობს მხარეებს სამართალწარმოება დაიწყონ ამერიკაში. პირველი, შტატები იყენებს დასაშვებ მიდგომას პერსონალური იურისდიქციის მიმართ, რაც მოსარჩელეებს ფართო წვდომას აძლევს აშშ-ის სასამართლოებზე. მეორე, ამერიკელ მოსამართლეებს აქვთ მისწრაფება გამოიყენონ აშშ-ის მატერიალური კანონი, თუნდაც უცხო ქვეყნებში მომხდარი მოვლენების საფუძველზე წარმოშობილ სარჩელებში და ეს კანონი ხშირად უპირატესობას მოსარჩელეებს ანიჭებს.27 ლორდმა დენინგმა ერთ-ერთ საქმეში

of the Court (Third Chamber) 25 January 2018 https://globalfreedomofexpression.columbia.edu/cases/maximilian-schrems-v-facebook-ireland-limited/

- Bookman, P. K., (2016). The Unsung Virtues of Global Forum Shopping, Notre Dame Law Review, Vol 92, Issue 2, 586, 587.
- 27 ტრანსნაციონალური სამართალწარმოება აშშ-ის სასამართლოებში იზრდება. "ბოლო ათწლეულე-ბის განმავლობაში, ამერიკულ სასამართლოებში სამართალწარმოება უცხოური ან საერთაშორისო კომპონენტით იზრდებოდა მოცულობითა და ასევე

Forum shopping-ი დამახასიათებლად აღწერა: "hოგოhც სინათදე იზიჹავს ჩhჩიçს, ასევეა მოღავე მხაhეთათვის მიმზიღვეදი შეეhთებუදი შგაგების სასამაhთვოები".²⁸

2015 წლის სექტემბერში ფოლკსვაგენმა განაცხადა, რომ გააყალბა დიზელის გამონაბოლქვის ტესტები,²⁹ თითქოსდა მისი "სუფთა დიზელის" მანქანები სრულად შეესაბამებოდა აშშ-ის გარემოსდაცვით რეგულაციებს. ფაქტობრივად, მანქანები გარემოს აბინძურებდნენ 40-ჯერ მეტად, ვიდრე ეს დაშვებული იყო ამერიკული კანონმდებლობით. ამ განცხადების შემდეგ, რომელიც შეეხო მსოფლიოში 11 მილიონ ავტომობილს, Volkswagen-ის საბაზრო ღირებულება შემცირდა დაახლოებით 25 მილიარდი დოლარით, ანუ ოცდაათი პროცენტით. მთელ მსოფლიოში Volkswagen-ის ავტომობილთა მესაკუთრეებმა, დილერებმა და აქციონერებმა (კანადიდან, ავსტრალიიდან და სამხრეთ კორეამდე) აღძრეს სარჩელი მის მიმართ. აშშ-ის იურიდიული ფირმები აწარმოებდნენ პროცესებს კომპანიის წინააღმდეგ. შეერთებულ შტატებში, ფოლკსვაგენის მეპატრონეთა ჯგუფები ეძებდნენ სხვადასხვა კრიტერიუმებით საუკეთესო სასამართლოს. ეს მცდელობები იყო შიდა (ეროვნული) Forum shopping-ის მაგალითები. ვინც ამერიკული დეპოზიტარის ქვითრები (ADR) შეიძინა აშშ-ს ბირჟებზე, სარჩელი აღძრა ამერიკის ფედერალურ რაიონულ სასამართლოში, ზოგიერთმა აქციონერმა სარჩელი შეიტანა გერმანიაში, ფოლკსვაგენის ეროვნულ სასამართლოში. ამ საქმეში, მხარეთა არჩევანი არის ტრანსნაციონალური (გლობალური) Forum shoppingის მაგალითები. ერთი პერსპექტივიდან, ეს

სირთულით". "ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში დაფიქსირდა საქმეთა მზარდი ნაკადი საერთაშორისო და უცხოურ საკითხებთან დაკავშირებით".
ზოგი მეცნიერი აღწერს "უცხოელ მოსარჩელეთა ტალღას შეერთებული შტატების სანაპიროებზე". მეორეს მიხედვით, "შეერთებულ შტატებში, უცხოელი
მოსარჩელეების მიერ ამერიკული კორპორაციების
წინააღმდეგ სარჩელების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში. Whytock, C. A., (March 2011).The Evolving Forum
Shopping System, Cornell Law Review, 482,483, 496,497.

- Smith Kline & French v. Bloch 1983 Guthri, N., (1995). "A Good Place to Shop": Choice of Forum and the Conflict of Laws, Ottawa Law Review, 206.
- 29 Bookman, P. K., (2016). The Unsung Virtues of Global Forum Shopping, Notre Dame Law Review, Vol 92, Issue 2, 580-582.

სარჩელები წარმოადგენს ოპორტუნისტი იურისტების სტრატეგიული გეგმის ნაწილს, რომლებიც მთელ მსოფლიოში დაეძებდნენ საუკეთესო სასამართლოს Volkswagen-ის წინააღმდეგ, მათთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოსატანად. მეორე მხრივ, Volkswagen-ის ქმედებებმა ზიანი მიაყენა მხარეებს მთელ მსოფლიოში, ბევრმა ქვეყანამ მიანიჭა მოქალაქეებს უფლება ასეთ პირობებში, დაეწყოთ სამართალწარმოება ფოლკს-ვაგენის წინააღმდეგ.

Airbus Industrie v Patel³º საქმეში ინდოეთის, ტექსასისა და ინგლისის სასამართლოები ჩაებნენ. 1990 წლის 14 თებერვალს Indian Airlines-ის ტულუზაში წარმოებული Airbus A320, აფრინდა შიდა რეისით ბომბეიდან ბანგალორისკენ. მგზავრთაგან თითქმის ყველა ინდოელი იყო, მხოლოდ ორი ბრიტანელი ოჯახი და სამი ამერიკელი. ბანგალორში დაფრენისას, თვითმფრინავი ასაფრენი ბილიკის მოშორებით ჩამოვარდა. დაიღუპა ოთხმოცდათორმეტი ადამიანი. ინდოეთის საგამოძიებო საბჭომ ავარიის ძირითად მიზეზად პილოტის შეცდომა დაასახელა, ბანგალორის აეროპორტის კომპანია კი დამნაშავედ მიიჩნია, რომ არ არსებობდა უსაფრთხოების ადეკვატური ზომები. ინდოეთში, ავიაკომპანიისა და აეროპორტის წინააღმდეგ დავის შედეგად, ყველა მოსარჩელეს ერგო 75, 000 აშშ დოლარი. ინგლისელმა მოსარჩელეებმა სარჩელი შეიტანეს ტექსასში რამდენიმე მხარის წინააღმდეგ, რომლებსაც შესაძლოა რაიმე კავშირი ჰქონოდათ თვითმფრინავთან ან მის ექსპლუატაციასთან. ერთ-ერთი იყო მწარმოებელი Airbus-ი. მან მიმართა ინდოეთის სასამართლოს იმ განკარგულების გამოტანის მოთხოვნით, რომელიც აუკრძალავდა ინგლისელ მოსარჩელეებს ინდოეთის გარდა, სხვაგან დაეწყოთ სამართალწარმოება. სასამართლომ გამოსცა ეს აკრძალვა, რასაც არანაირი ეფექტი არ მოჰყვა. მოსარჩელეები იმყოფებოდნენ ინდოეთის ფარგლებს გარეთ, შესაბამისად, არ ემორჩილებოდნენ მის სამართლებრივ სისტემას. ამის შემდეგ, Airbus-მა უკვე ინგლისის სასამართლოში მოითხოვა ტექსასში მოსარჩელეთა

სარჩელის განხილვის აკრძალვა. ლორდთა პალატამ დაადგინა, რომ ინგლისის სასამართლოს "საკმარისი ინტერესი" უნდა ჰქონოდა ამ საკითხთან დაკავშირებით, უცხოურ სასამართლოში მსგავსი არაპირდაპირი ჩარევა, რომ გაემართლებინა.

Manufacturers Life Insurance Co. v. Guarantee Co. of North America საქმეში, მოსამართლე მზად იყო ეღიარებინა, რომ Forum shopping-ი სწორი გზაა მხარის ლეგიტიმური ინტერესების განსახორციელებლად, თუმცა დაადგინა მისი გამოყენება მოპასუხის მიმართ უსამართლობას გამოიწვევდა. დავის ორივე მხარე იყო ონტარიოს შტატის რეზიდენტი. მოსარჩელემ სარჩელი შეიტანა კალიფორნიასა და იუტაში სიცოცხლის დაზღვევის კომპანიის წინააღმდეგ, ზარალის ობლიგაციით ანაზღაურების მოთხოვნით. როდესაც მოპასუხე დავობდა სასამართლოების იურისდიქციის თაობაზე, მოსარჩელემ წამოიწყო სამართალწარმოება ონტარიოში. ამის შემდეგ, მოსარჩელემ იშუამდგომლა ონტარიოში დაწყებული სამართალწარმოების შეჩერების მოთხოვნით, ვიდრე არ გადაწყდებოდა იურისდიქციის საკითხები კალიფორნიასა და იუტაში. მოსამართლემ საქმის განხილვის შეწყვეტის შუამდგომლობის უარყოფისას აღნიშნა, რომ სანამ მოსარჩელეს უფლება ჰქონდა "ეყიდა" ხელსაყრელი კანონი, უსამართლო იქნებოდა მოპასუხის "დაყოვნება", ამასობაში ხომ მოსარჩელე ლამის მთელ მსოფლიოს იყიდდა.31

@36363

Forum Shopping-ი არ არის უარყოფითი სამართლებრივი ფენომენი. ფაქტია, სხვადასხვა სამართლებრივი სისტემა მხარეებს შესაძლებლობას აძლევს განსაზღვრონ სად დაიწყონ ნებისმიერი სირთულის ტრანსნაციონალური დავის განსახილველად სამართალწარმოება.

Forum Shopping-ი არის სტრატეგიული ქცევის ფორმა, რომელიც ეფუძნება სამართლის სისტემის იმ მახასიათებლებს, რაც გავლენას

³⁰ International Law Association London Conference, (2000). Committee on International Civil and Commercial Litigation, Third Interm Report: Declining & Refering Jurisdiction in International Litigation, 2,3.

³¹ Manufacturers Life Insurance Co. v. Guarantee Co. of North America 1987 Guthri, N., (1995). "A Good Place to Shop": Choice of Forum and the Conflict of Laws, Ottawa Law Review, 206, 207.

ახდენს სასამართლო პროცესების მიმართ მოსარჩელეთა მოლოდინების ჩამოყალიბებაზე.
ზოგჯერ, არსებითი სამართლებრივი განსხვავებები განაპირობებს მხარის არჩევანს (განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არსებობს მკაცრი
პასუხისმგებლობის დაკისრების ან ხანდაზმულობის ვადის თავიდან აცილების პერსპექტივა). ხშირად, მხარეთა არჩევანი ნაკარნახევია
სასამართლოს შესაბამისი პროცესუალური
მახასიათებლებით (დაბალი ხარჯებით, მაღალი ანაზღაურების მიღების შესაძლებლობით
და ა. შ.), რადგან Forum shopping-ი ტაქტიკური
უპირატესობის მოპოვების მცდელობაა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსარჩელის საქმის
წარმატებით დასრულებას.